

ლადო პაპავა “ბენდუკებით” გაძევილ სახელისუფლებო იერარქიაზე საუბრობს

გაზეთი “ვერსია” – 16-17 თებერვალი, № 19, 2008

საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას, რომელმაც, ფაქტობრივად, ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის გეგმა წარმოადგინა, ყველა მოუთმენლად ელოდა. ძველი და კარგად ნაცნობი დაპირებების გარდა, პრეზიდენტმა ახალი გეგმაშიც შემოგვთავაზა და მეტიც, დაგვამშვიდა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არ დამდგარა და სხვა ქვეყნებზე ბევრად ნაკლები პრობლემა გვაქვს. საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და პერსპექტივებზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ყოფილი დეპუტატი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება:

– პრეზიდენტის გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება. არ არსებობდეს ის პრობლემები, რომელიც გაჩნდა 2007 წლის ნოემბრის, 2008 წლის აგვისტოს, ან გაყალბებული არჩევნების შემდეგ. თუმცა პრეზიდენტის გამოსვლას ჰქონდა თავისი პლუსიც, ის იყო უჩვეულოდ გაწონასწორებული და ნეტავ გასულ წლებშიც ასეთი გამოსვლები ჰქონოდა. ფორმით ეს გამოსვლა დადებითად შესაფასებელია. რაც შეეხება შინაარსს, მან ილაპარაკა ყველაფერზე, იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ეკონომიკაზე, მაგრამ არ ილაპარაკა, იმ მწვავე პრობლემებზე, რომელიც ქვეყანაშია. სააკაშვილმა თქვა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არ არის მაგრამ ეს სიმართლეს არე შეესაბამება. კრიზისი იმ ფინანსური დახმარებითაა ჩახშობილი, რომელიც საქართველომ გასული წლის 22 ოქტომბერს მიიღო. ბრიუსელის კონფერენცია კი რუსეთის აგრესია რომ არ ყოფილიყო, არ შედგებოდა და საქართველო აღმოჩნდებოდა ისეთივე ჩამონგრეული ეკონომიკით, როგორც ის ქვეყნები რომლებსაც დღეს აუგად მოიხსენიებს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, კარგია, ხალხი რომ არ იტყვლიტება და ეკონომიკის მასობრივი ნგრევა არ არის, მაგრამ სიმართლესაც ხომ უნდა შევხედოთ თვალებში. ეს ქვეყნის დამსახურება ხომ არ არის, ეს რუსეთის აგრესიის „დამსახურებაა“. ამავდროულად იყო მის

გამოსვლაში ისეთი განცხადებებიც, რომელთა შესახებ პრეზიდენტი არ უნდა ლაპარაკობდეს, თუნდაც ასე ფიქრობდეს. ძნელად დაიჯერებს ვინმე, რომ გერმანია უფრო კორუმპირებული სახელმწიფოა ვიდრე ჩვენი. სააკასვილმა ვერ მოახერხა თავი აერიდებინა იმ შეურაცხმყოფელი ფრაზებისათვის, რომელმაც თავის დროზე საკმაოდ გააუარესა ურთიერთობა რუსეთთან. ვერ ვიტყვით, რომ დღეს კარგი ან ცუდი ურთიერთობა გვაქვს გერმანიასთან, თუმცა მსგავსი გამონათქვამები კარგს არაფერს მოიტანს, მითუმეტეს, რომ პრეზიდენტის გამოსვლას უამრავი სტუმარი ესწრება, სხვათა შორის, გერმანიის ელჩიც საქართველოში.

– ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ხშირად ბადებს ეჭვებს. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ახსენა ტენდერები, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა და თურმე სამართლიანობის განცდას აჩენს, ასეთი საჯაროობა საკმარისია?

– სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობაში მრავალი ასპექტი ბადებს ეჭვებს. არაგამჭვირვალეა ტენდერები, სახელმწიფო შესყიდვები. ახლაც ერთი ამბავია ატეხილი „სახალხო ბანკის“ საკონტროლო პაკეტის გაყიდვაზე, ითქვა რომ თითქოს აქ ლტოლვილებისთვის გამოყოფილი თანხებია გამოყენებული. არის თუ არა ეს სიმართლე? ვირაცამ ხომ უნდა უპასუხოს და იურიდიული დოკუმენტაცია გამოაქვეყნოს. პირველ რიგში ეს მთავრობის ინტერესში უნდა იყოს. ასე, რომ როდესაც სააკასვილი საუბრობს გერმანიის კორუმპირებულობაზე, ჯობია, იმას გაეცეს პასუხი რა კითხვის ნისნებიც დღესაა ჩვენს საზოგადოებაში. ის კი არ უნდა ვიძახოთ, რომ კორუმპირებულები არ ვართ, არამედ შესაბამისი დოკუმენტები გამოვამზეუროთ. მაგალითად, ენგურჰესთან დაკავშირებით, ოპოზიის რომელიმე წარმომადგენელი კი არ უნდა ჩაახედონ მემორანდუმში, არამედ საჯაროდ გამოაქვეყნონ. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ შიგნით ისეთი არაფერი არ წერია, მაგრამ თუ ასეა, რატომ გვიმალავენ?

– როგორც გაცხადდა, ყველაზე დიდ დაფინანსებას ინფრასტრუქტურა მიიღებს. ეს კრიზისის პირობებში მართლაც დადებითი ეფექტის მომტანი იქნება, თუმცა ჩვენი ხელისუფლების სახელმწიფო ფინანსებთან ურთიერთობას ექსპერტები მაინც აკრიტიკებენ ხოლმე...

– დღეს მრავალი ქვეყანა მიმართავს წარმოების უშუალო დახმარებას, მაგრამ ეს ფაქტობრივად, ქვეყნის კრიზისიდან არგამოყვანას ნიშნავს. ესაა კრიზისის ჩახშობა, მიჩქმალვა. როცა პრეზიდენტი ამბობს რომ სახელმწიფომ

რუსთავის აზოტისაგან ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების სასუქი შეიძინა, რომელიც გლეხებს უნდა დაურიგოს და ამით სოფლის მეურნეობას დაეხმაროს, ეს პრობლემის გადაწყვეტა არ არის. კი, რაღაც მომენტში ეს გლეხებს და ქიმიურ კომბინატს მართლაც შეუმსუბუქებს არსებობას, მაგრამ ეს მოვლენა დროებითია. გამოდის, რომ რუსთავის ქიმიური კომბინატი არის ფაქტობრივად, მკვდარი წარმოება, რომელსაც დოტაცია თუ არ ექნა, ვერ იარსებებს.

– აბა რა უნდა გაკეთდეს?

– სახელმწიფომ უნდა გაზარდოს თავისი ხარჯები იმ სფეროებში, რომელიც მისი გასაკეთებელია და არ ჩაერიოს ეკონომიკის იმ ნაწილში რომელსაც კერძო სექტორი უნდა არეგულირებდეს. მთავრობის პოლიტიკას, ხარჯები გაზარდოს მელიორაციაში, მივესალმები, სწორი პოლიტიკაა, რადგან ამას კერძო სექტორი ხელს არ მოკიდებს, ხოლო თუ მოკიდა, მაშინ გლეხობას ამ სიკეთის გამოყენება იმდენად ძვირი დაუჯდება, რომ შედეგი უარყოფითი იქნება.

გზების მშენებლობაში ფულის ჩადებასაც მივესალმები, თუმცა გეტყვით, რომ კარგი იქნებოდა, ყველაფერი მაქსიმალურად გამჭვირვალედ ყოფილიყო. თუ სადმე შეიძლება „ფულის მოტეხვა“ ეს მშენებლობაა, განსაკუთრებით კი გზების მშენებლობა. საზოგადოებაში მართლაც იბადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გზებში ჩადებული ფულის 30% მაინც მავანთა და მავანთა ჯიბეებში ნაწილდება. თუ ასე არ არის, 10% ხომ ყველა შემთხვევაში არაკონტროლირებადია. მთავრობა თავად უნდა იყოს დაინტერესებული, რომ გზების მშენებლობა მაქსიმალურად გამჭვირვალედ მიმდინარეობდეს და ამის შესახებ საზოგადოებას სრულად იყოს ინფორმირებული. კერძო სექტორი არც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის არ ააშენებს, ეს სახელმწიფოს პრობლემაა. ამიტომ ღონისძიებათა ნუსხას, რაც მთავრობამ წარმოადგინა, პრინციპში, ვიწონებ, თუმცა ეჭვს იწვევს, მაგალითად, იაფი კრედიტის პროგრამა. ეს პროგრამა ბანკებმა უნდა განახორციელონ, მთავრობამ ბანკებს უნდა მისცეს დაბალპროცენტიანი მიზნობრივი სესხი, მათ კი სხვადასხვა სფეროებში განათავსონ. მთავრობის სხდომებსა და ეკონომიკის სამინისტროში არ უნდა წყდებოდეს, იაფი კრედიტის გაცემა. ასევე მკვდარი განცხადებაა, რომ მთავარი ინვესტორი სახელმწიფო უნდა იყოს. დაუშვათ ვინმემ უფრო მეტი ფულის ჩადება მოინდომა და რაკი ყველაზე დიდი კრედიტორი სახელმწიფოა, არ უნდა შემოეშვათ? არის ხოლმე ამ ჩვენს

პაიროში სერიოზული შეცდომები, თუმცა მასობრივ სიბრყველეს ხოლმე გათვლილი და შესაძლოა, ბრყველებში ასეთი პიარი ამართლებს კიდევ.

– დღემდე ხელისუფლების პროგრამებსა და გეგმებს ძირითადად, ლოზუნგების სახე ჰქონდა, დღეს ორი-სამი ღონისძიება მაინც დაიგეგმა ისეთი რასაც გარკვეული შედეგი ექნება. ამ ყველაფერს ემთხვევა ბენდუქიძის გაშვებაც, რა ქვეტექსტები იკითხება ამ ყველაფერში?

– ერთი ძველი მულტფილიდან მახსენდება ფრაზა, „სოფლის შენებას რა უნდა, კარგი პირველის თქმა უნდაო“. ხშირად მხოლოდ კარგი პირველის თქმაში გამოიხატება ხოლმე იმ დიდი “სოფლის” შენების საქმე, რომელსაც საქართველო ჰქვია. პრაქტიკულად იცით რა ხდება? ბენდუქიძე წასული არ არის. თუ ვინმეს პირიქით ჰგონია, ეს ილუზიაა. ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, რას შესთავაზებს სააკშვილი ბენდუქიძეს. ნუ დაგვავიწყდება, გურგენიძეს, წასულ პრემიერს, საფინანსო საბჭოს თანათავმჯდომარეობა შესთავაზა და ხან მაგალობლიშვილს და ხან გილაურს დაუწვევილა. თან ის რაც პრემიერ-მინისტრის საქმეა, გურგენიძეს დაავალა, – ნაბუკოს პროექტში მონაწილეობა. რა შუაშია „საქართველოს ბანკი“ და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები? ხომ შეიძლება ხვალ რაღაც ასეთი ფუნქცია ბენდუქიძესაც დაეკისროს. რაც მთავარია, საქართველოს მთავრობაში დარჩა ბენდუქიძის ხალხი. ეს ის ხალხია, რომელთაც ფაქტობრივად არც სახელი აქვთ არც გვარი, ისინი პატარა “ბენდუქები” არიან და ასეთი ბენდუქებითაა გაძევილი სხვადასხვა სახელისუფლებო იერარქიები. ბენდუქები არიან პარლამენტში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრის აპარატში. ეს არის იდეოლოგიურად, ფინანსურად, ეკონომიკურად ერთი, ბენდუქიძის გუნდი, რომელიც მის “უკვდავ” საქმეს აგრძელებს. პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლისას საშუალება გვქონდა მოგვესმინა რამდენიმე საპარლამენტო ბენდუქას გამოსვლა, რომლებმაც კაჭკაჭებით გაიმეორეს, რატომ არ უნდა იყოს გარანტირებული ქვეყანაში სასურსათო უზენებლობა ან რატომ არ უნდა იყოს ანტიმონოპოლიური სამსხური. იმ გამომსვლელებს სახელი და გვარი კი აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა, ისინი ბენდუქები არიან. თვითონ არც ცოდნა აქვთ იმდენი და არც დაფიქრებულან, მათ ნათქვამში რაიმე საღი აზრი არის თუ არა. ასეთი კლიშეა მოგონილი, რომ თურმე სახელმწიფო არ უნდა დაეხმაროს ამა თუ იმ სტრუქტურას, რომ ის არ გახდეს მონოპოლია. ეს ეკონომიკის აბსოლუტური უცოდინრობაა. მონოპოლია კონკურენციის შედეგად იქმნება, გამარჯვებული დამარცხებულს ყლაპავს და

ბაზარზე „დიქტატორი“ ხება, განსაზღვრავს ფასებს და ა.შ. მონოპოპოლია კონკურენციის პროდუქტია. ამ შემთხვევაში ანტიმონოპოლიური საქმიანობა ნიშნავს, რომ კონკურენცია პერიოდულად გაათავუსუფლო მონოპოლიური მარწუხებისგან. ამაზე არ ლაპარაკობენ, სულ სხვა რამეებს ამბობენ. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარი ამ ბენდუკების გამოსვლიდან იცით რა იყო? თურმე საქართველო ევროკავშირის მიმართულებით სულაც არ მიდის. გამოდის, რომ არტიკულაცია გვაქვს სუფთა დასავლური, ხოლო ქმედება აბსოლუტურად საწინააღმდეგო. ევროკავშირისკენ სწრფვა ნიშნავს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებას, ანუ საქართველო ევროკავსირის ნაწილი ხდება ჯერ მხოლოდ ეკონომიკურად. ევროკავშირი ითხოვს, რომ თუ საქართველო ევროპის ბაზრის ნაწილი ხდება, აქაც ისეთივე პრინციპები მოქმედებდეს, როგორც ევროპის ქვეყნებშია, ამის გარეშე ინტეგრაცია შეუძლებელია. რას გეთხოვს ევროპა, ეს არის ევროპული ტიპის შრომის კოდექსი, ბენდუკები კი ამბობენ, არა, ჩვენ ყველაზე კარგი შრომის კოდექსი გვაქვს და არ შევცვლით. მეორეა სასურსათო უვნებლობა, ხარისხი. ბენდუკებმა თქვეს, არა არაფერს არ შევცვლით. ანუ რა გამოგვივიდა, პრეზიდენტი გამოდის და გვეუბნება ევროკავშირისკენ მივდივართო, ხოლო მისი ბენდუკები ჯიუტად იმეორებენ, არა ამეებს არ გავაკეთებთო. როგორ დავიჯერო, რომ ამ მთავრობას მართლა უნდა ევროკავშირი, როგორ დავიჯერო, რომ ეკონომიკის მინისტრს, ბატონ უვანიას მართლა უნდა ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა. პარლამენტის ბენდუკები მისცემენ ამის უფლებას? ევროკავშირს სურს, საქართველოშიც ეკონომიკის ისეთივე რეგულირება იყოს როგორც ევროპაშია და ამისათვის მზადაა ტექნიკური დახმარებაც გამოგვიყოს. მაგრამ თუ მთავრობას არ სურს ამ მოთხოვნების შესრულება, გამოდის, რომ ევროპისკენ არ მივდივართ.

– თუ ევროპისკენ არა, საით მივდივართ?

– ბატონი სააკაშვილი ამბობდა სინგაპურისკენ მივდივართო, გურგენიძე ბახრეინიზაციას უჭერდა მხარს, მგალობლიშვილი არაფერს არ ამბობდა, იმიტომ რომ მისთვის ვერ მოასწრეს ეკარნახათ თუ რა უნდა ეთქვა. ხოლო როცა სააკაშვილი იძახდა, სინგაპურიზაცია უნდა მოხდესო, გურგენიძე კი ბახრეინიზაციას, ბატონი გილაური ხან ენერგეტიკის მინისტრი იყო, ხან ფინანსთა და ერთხელაც არ დაუფიქსირებია საკუთარი აზრი. ახლა რას დააპირებს არ ვიცი, თუმცა გილაურის სასარგებლოდ ერთ რამეს ვიტყვი, სწორია, რომ რომ სამინისტროებმა ქამრები მაგრად უნდა მოიჭირონ.

უბრალოდ ერთი რამ არის გაუგებარი რატომ არ თქვა ეს 40-50 დღის წინ, როცა პარლამენტში 2009 წლის ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცეს. კაცი ვერ დამაჯერებს, რომ ამაში გეგმა მგალობლიშვილი უშლიდა მას ხელს.

- რაც შეეხება რეზიდენციების გაყიდვას, ეკონომიკურად რამდენად გამართლებული გადაწყვეტილებაა?

- სახელმწიფოს თუ პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტი ჰყავს, შესაბამისი ინფრასტრუქტურაც სჭირდება. წარმოდგინეთ აშშ-ს პრეზიდენტმა რომ თქვას თეთრი სახლი პრივატიზაციაში უნდა მოვაცოლოთ ან უპატრონო ბავშვებს გადავცეთ, ხომ წარმოუდგენელია. რეზიდენციები ქვეყნის სიმბოლოცაა. გაუგებარია, რა მოიგო ქვეყანამ კრწანისის რეზიდენციის გაყიდვით. ყველაფრის გაყიდვაა შესაძლებელი, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სურთ, ვიდრე ხრელისუფლებაში არიან, ფული მაქსიმალურად ამოიღონ. დადგება დრო, როცა საქართველოში ბევრი რამ თავიდან ასაშენებელი და თავიდან შესაქმნელი გვექნება. მათ შორის ქვეყნის პირველი პირის რეზიდენციაც და მერე გაგვახსენდება ყველას, როგორ გაანიავა ვარდების რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ ის, რაც მისი შექმნილი სულაც არ იყო. წეროვანის რეზიდენციის გადაცემა არც დევნილების პრობლემას წყვეტს და არც უპატრონო ბავშვების. ეს ყველაფერი იაფფასიან პიარზეა გათვლილი.

იმის მიუხედავად, რომ მწერალთა კავშირის, პრესის სახლის და კომპაზიტორთა კავშირის ბორჯომის სახლზე პრეზიდენტს ხელისუფლებასთან ყველაზე მეტად ჩახუტებულმა ოპოზიციის ნაწილმა სთხოვა, მას სიტყვაც კი არ დაუძრავს ამ თემაზე. არადა ამ შენობებში არავინ შესულა და უპატრონობით ფუჭდება. თუ ასე უჭირს და საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება, მწერლებს და კომპოზიტორებს საახალწლოდ ინდაურებს კი ნუ დაურიგებს, რაც წაართვა, ის დაუბრუნოს.

- ახლა რიდასთვის სჭირდება ეს პიარი, არჩევნებს ელოდება?

- აგვისტოს მოვლენების შემდეგ ხელისუფლება თავს კომფორტულად არ გრძნობს და ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანაში საყოველთაო მღელვარების ტალღა არ აგორდეს, არ იყოს მოთხოვნა ვადამდელ არჩევნებზე. თუ ხელისუფლებამ რამე ახალი შეცდომა არ დაუშვა იქნება გამოსვლები, მაგრამ ამან შესაძლოა ყველაზე დიდი იმ მასშტაბს მიაღწიოს რაც სალარო აპარატების დროს იყო. მღელვარების წინაპირობას ქვეყანაში ვერ ვხედავ. ჩვენს ხალხს პრიმიტიული დამოკიდებულება აქვს პოლიტიკისადმი, ყოჩი და

ლიდერი სჭირდება, ასეთი ლიდერი ჩვენდა საბედნიეროდ არ არსებობს. ერთი აგრესიული ლიდერის მეორეთი ჩანაცვლება, არაფერს მოგვიტანს. არ არსებობს ოპოზიციური არხი, რომელიც მთელ საქართველოს ფარავს და ხალხს მოუწოდებს გამოვიდეს. მესამეა ფული. რეგიონებში საჭიროა ფული რომ ხალხმა გადაადგილება და თბილისში გაჩერება შეძლოს. 2003-ში სოროსის, ხოლო 2007-ში პარატკაციშვილის ფული დაიხარჯა. ამ სამი პირობიდან დღეს ერთიც არ არის საქართველოში. ასეთ ფონზე არჩევნები რომც დაინიშნოს ისევ ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი გაიმარჯვებენ. იმიტომ რომ ჩვენი მასობრივი ამომრჩეველი მზად არის პოლიტიკური გარყვნილებისათვის და მზად არის 30 ვერცხლად კვლავ გაყიდოს თავისი ხმა და თავისი ქვეყანის მომავალი.

ღალი ზირაქიშვილი